საქართველოს კანონი

„მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №30(37) 1999 წელი, მუხ. 159) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,17. მობილიზაციის დროს სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ვადა და საქართველოს სამხედრო ძალების სამობილიზაციო გეგმა

მობილიზაციის დროს სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ვადა განისაზღვრება საქართველოს სამხედრო ძალების სამობილიზაციო გეგმით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი